# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-09-10/181

10 09 2018 წ.

ქ. თბილისი

სტუ–ის N 01-09-10/161 (27.08.18) ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ–ს 2018 წლის 27 აგვისტოს N 01-09-10/161 ბრძანების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

პუნქტი 1: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.students.eqe.ge) რეგისტრაციის შემდეგ) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის პირველი სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე (ყოველ დღე შაბათ-კვირის ჩათვლით. მისამართზე: თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი N 264);

რექტორი ა.ფრანგიშვილი